



უ რ თ ი ე რ თ თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ი ს მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. თბილისი

18/04/2018 წელი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის შოთა რეხვიაშვილის სახით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (შემდგომში - სკოლა), წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან მახარაშვილის სახით, ერთობლივად წოდებულნი როგორც მხარეები,

ვითვალისწინებთ საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის ხელშეწყობის აუცილებლობას, ვაცნობიერებთ ამ პროცესის მიზნებისთვის ქართული ენის სწავლების მნიშვნელობას, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

სკოლის მიერ საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა და სამინისტროს საგანმანათლებლო სივრცეში - ინტეგრაციის ცენტრში (შემდგომში - ცენტრი), სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით გათვალისწინებული ქართული ენის შემსწავლელი კურსების განხორციელება.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს:

- 2.1.1. სკოლის მიერ ქართული ენის შემსწავლელი კურსების წარმართვისთვის საჭირო ცენტრის მოწყობა და ამ ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა;
- 2.1.2. საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ჩართვა და გადამისამართება ქართული ენის შემსწავლელ კურსებში;
- 2.1.3. ქართული ენის შემსწავლელ კურსებში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ჩართულობის/მოსწრების მონიტორინგი;
- 2.1.4. მხარეთა შორის თანამშრომლობის კოორდინაცია და ამ თანამშრომლობის ფარგლებში საჭირო დოკუმენტების შემუშავება და სკოლასთან შეთანხმება.

2.2. სამინისტრო უფლებამოსილია:

საჭიროების შემთხვევაში სკოლიდან გამოითხოვოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.3. სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს:



- 2.3.1. სამინისტროს მიერ გადამისამართებული საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ქართული ენის ყველა დონის სწავლება;
- 2.3.2. საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა მიერ კონკრეტული დონის ქართული ენის შემსწავლელი კურსის დასრულებისთვის მოთხოვნილი ბარიერის გადაულახავობის შემთხვევაში, აღნიშნულ პირთათვის ამავე კურსის დამატებით მეორედ გავლის შესაძლებლობა;
- 2.3.3. სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ მხარესთან დაკავშირებით სამინისტროსთან თანამშრომლობა;
- 2.3.4. ქართული ენის შემსწავლელი კურსის განხორციელების მიზნით მიღებული პერსონალური და სხვა მონაცემების უსაფრთხოება და დაცვა;
- 2.3.5. ქართული ენის შემსწავლელი კურსების განხორციელების პერიოდების სამინისტროსთან შეთანხმება.

2.4. სკოლა უფლებამოსილია:

საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ კონკრეტული დონის ქართული ენის შემსწავლელი კურსის დასრულებისთვის მოთხოვნილი ბარიერის სამჯერ გადაულახავობის შემთხვევაში, სამინისტროსთან შეთანხმებით, მოხსნას აღნიშნული პირი ქართული ენის შემსწავლელი კურსიდან.

მუხლი 3. მემორანდუმის შესრულების შეფერხება

თუ მემორანდუმის შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ფერხდება მემორანდუმის პირობების შესრულება, მხარემ, რომელიც ზემოაღნიშნული გარემოებების გამო ვერ ასრულებს მემორანდუმით გათვალისწინებულ პირობებს, ელექტრონული ფოსტით ან წერილობით, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტი, მისი სავარაუდო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებარე მხარემ, უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 მხარეები ვალდებული არიან ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულონ მათ მიერ წინამდებარე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებები.

4.2. ამ მემორანდუმიდან გამომდინარე უფლებამოსილებათა განხორციელებისას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სხვა მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში მხარეებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 5. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა



მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული ფორმდება წერილობით, წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 6. სხვა დებულებები

6.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე არ შეატყობინებს მეორე მხარეს მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტის თაობაზე, მემორანდუმი ავტომატურად გრძელდება ყოველწლიურად.

6.3. მემორანდუმთან დაკავშირებით წარმომზადილი დავა მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმების გზით.

6.4. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები და საკონტაქტო პირები

მემორანდუმის ფარგლებში ნებისმიერი სახის კომუნიკაცია (ზეპირი, ელექტრონული და წერილობითი შეტყობინებები) უნდა განხორციელდეს მხარეთა მიერ მითითებულ შემდეგ რეკვიზიტებზე:

7.1. მხარეთა რეკვიზიტები და საკონტაქტო პირები:

7.1.1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
თბილისი, თამარაშვილის ქუჩა 15^ა

საკონტაქტო პირი: ირაკლი კოკაია, მიგრაციის, რეპატრაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი (ელ-ფოსტა: ikkokaia@gmail.com)


7.1.2. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
ქუთაისი, ნიკეას ქუჩა 13

საკონტაქტო პირი: ქეთევან მახარაშვილი, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი (ელ-ფოსტა: k.makharashvili@zspa.ge)



მუხლი 8. მხარეთა ხელმოწერები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სახელით მინისტრის მოადგილე შოთა რეხვიაშვილი



სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სახელით დირექტორი ქეთევან მახარაშვილი

